



# შპს ექვთიმა თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია  
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება  
N16, ოქმი N5 (2016 წლის 16 აპრილი).*

საგამოცდო ცენტრის დებულება

## **თავი I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.** შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) საგამოცდოცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

1.2 ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

1.3 ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე ანგარიშვალდებულია დირექტორისა და რექტორის წინაშე.

## **თავი II. ცენტრის მიზნები, ამოცანები და უფლებამოვალეობანი**

### **მუხლი 2. ცენტრის მიზნები**

ცენტრის მიზნებია:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა;
- ბ) სწავლის ხარისხის ამაღლება.

### **მუხლი 3. ცენტრის ამოცანები**

ცენტრის ამოცანებია:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ორივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერითი გამოცდების ორგანიზება;
- ბ) სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრატურაში მისაღები წერითი გამოცდების ორგანიზება;

### **მუხლი 4. ცენტრის უფლება-მოვალეობანი**

ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) გამოითხოვს ფაკულტეტებიდან ყველა სახის ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება შუალედურ, სემესტრულ დასკვნით/დამატებით წერით გამოცდებს, ასევე მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებს;

ბ) ყოველ სემესტრში, აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აქვეყნებს შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერიტი გამოცდების ჩატარების განრიგს ;

გ) დადგენილი წესის შესაბამისად ლეზულობს გადაწყვეტილებას გამოცდების ჩატარების, გამოცდების შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების შესახებ;

დ) ადგენს საგამოცდო ბილეთის ფორმირების წესებს;

ე) განიხილავს გამოცდის ჩატარების პროცედურულ საკითხებზე შემოსულ საჩივრებს;

ვ) გამოითხოვს ლექტორისგან/საგნის ხელმძღვანლისგან საგამოცდო ნაწერებს და ამოწმებს მათ ალტერნატიული კომისიის მეშვეობით;

ზ) ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტთა შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი გამოცდების შედეგების ელექტრონულ აღრიცხვაზე;

თ) სასწავლო დეპარტამენტთან ერთად ახორციელებს გამოცდის პროცესის, შედეგების ანალიზს;

ი) ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ამზადებს რეკომენდაციებს რექტორისათვის ან/და აკადემიური საბჭოსთვის.

კ) ახორციელებს კანონმდებლობით, რექტორის, დირექტორის ინდივიდუალურ იადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებებსა და მოვალეობებს.

### **თავი III. ცენტრის მართვა და სტრუქტურა**

#### **მუხლი 5. ცენტრის უფროსი**

5.1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

5.2. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე;

5.3. ცენტრის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) აკონტროლებს დაკისრებული მოვალეობების თანამშრომელთა მიერ შესრულებას და ისმენს მათ ანგარიშებს;

ე) წარუდგენს რექტორს წინადადებებს ცენტრის სტრუქტურის, სამტატო ერთეულების, მუშაობის ორგანიზაციის, მოხელეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, აგრეთვე, პრაქტიკული მნიშვნელობის ნოვაციებისა და სიახლეების დანერგვის შესახებ;

ვ) შუამდგომლობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე;

ზ) შუამდგომლობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ცენტრის ამოცანების შესასრულებლად საჭირო სახსრებისა და მატერიალური საშუალებების გამოყოფის თაობაზე;

თ) წარუდგენს რექტორს ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიშს წელიწადში ორჯერ შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასრულების შემდეგ, აგრეთვე ენების მიერ დროს რექტორის მოთხოვნის შესაბამისად;

ი) აწარმოებს ურთიერთობებს და თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ფაკულტეტებთან;

კ) წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს თავისი კომეტენციის ფარგლებში;

ლ) იღებს გადაწყვეტილებას კორესპონდენციის შემდგომი მოძრაობის თაობაზე და ანაწილებს მას;

მ) ხელსაწერს ცენტრის მიერ მომზადებულ დოკუმენტებსა და პროექტებს, ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს;

ნ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, რექტორის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 6. ცენტრის თანამშრომლები**

6.1. ცენტრის თანამშრომლები არიან:

ა) ცენტრის მთავარი სპეციალისტები;

ბ) ცენტრის სპეციალისტები.

6.2 ცენტრის თანამშრომლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი;

6.3. ცენტრის თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს, ცენტრის უფროსის დავალებით, ასრულებს ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომელი.

6.4. ცენტრის თანამშრომელი:

ა) ასრულებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებით, სამუშაო აღწერილობით, ცენტრის უფროსის მიერ დაკისრებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს;

ბ) პასუხისმგებელია მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;

გ) პასუხისმგებელია მასზე განაწილებული, შესასრულებელი დოკუმენტაციის დაცვა-შენახვაზე;

დ) ამზადებს პასუხს მისთვის გადაცემულ კორესპონდენციაზე;

6.5. ცენტრის თანამშრომლის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ცენტრის დებულებით, ცენტრის უფროსის სამსახურებრივი დავალებებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

6.6. ცენტრის თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის უფროსის წინაშე.

## **მუხლი 7. საგამოცდო კომისია**

7.1 კომისიური წესით ჩასატარებელი გამოცდისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება საგამოცდო კომისია.

7.2 საგამოცდო კომისიის შემადგენლობას რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრი, ფაკულტეტთან კონსულტაციის საფუძველზე.

7.3 საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, მოწვეულისპეციალისტი ან დარგის ექსპერტი;

7.4 საგამოცდო კომისიის წევრობა არ არის დამატებითი ანაზღაურებითი საქმიანობა უფლებამოსილება ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში;

7.5 საგამოცდო კომისია ექვემდებარება ცენტრს და ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

7.6 საგამოცდო კომისია ვალდებულია გაასწოროს საგამოცდო ნაწერები და ცენტრს წარუდგინოს გამოცდის შედეგები;

7.7 გამოცდები, რომლებიც უნდა ჩატარდეს კომისიური წესით, განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით ან/და აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

## **მუხლი 8. საპრეტენზიო კომისია**

8.1 საჩივრის განხილვის მიზნით რექტორის ბრძანებით იქნება საპრეტენზიო კომისია. საპრეტენზიო კომისია იქმნება ყველა კომისიური წესით ჩასატარებელი გამოცდისათვის, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში შესაძლოა შეიქმნას ცენტრის გადაწყვეტილებით.

8.2 საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობას რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრი, ფაკულტეტთან კონსულტაციის საფუძველზე.

8.3 საპრეტენზიო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი, ან დარგის ექსპერტი, რომელიც არ არის იმავე გამოცდის საგამოცდო კომისიის წევრი;

8.4 საპრეტენზიო კომისიის წევრობა არ არის დამატებით ანაზღაურებადი საქმიანობა - უფლებამოსილებ ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში;

8.5 საპრეტენზიო კომისია ვალდებულია ყოველმხრივ შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს საჩივარი და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასკვნა.

8.6 საპრეტენზიო კომისია ექვემდებარება ცენტრს და ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

## **მუხლი 9. გამოცდების შედეგების გადამოწმება**

9.1 შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერითი გამოცდების, ასევე მაგისტრატურასა და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შედეგების გადამოწმების მიზნით, ცენტრის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით შეიქმნება კომისია;

9.2 ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი, ან დარგის ექსპერტი, რომელიც არ არის იმავე გამოცდის საგამოცდო ან საპრეტენზიო კომისიის წევრი;

9.3 ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრობა არ არის დამატებით ანაზღაურებადი საქმიანობა - უფლებამოსილება ხორციელებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში;

9.4 ამ მიზნით შექმნილი კომისია შეისწავლის საგამოცდო ნაწერებს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს ცენტრს;

9.5 ამ მიზნით შექმნილი კომისია ექვემდებარება ცენტრს და ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

#### **მუხლი 10. დამკვირვებლები**

10.1 გამოცდის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, დამკვირვებელთა შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

10.2 დამკვირვებელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის თანამშრომელი ან ხელშეკრულებით მოწვეული პირი.

10.3 დამკვირვებელი ექვემდებარება საგამოცდო ცენტრს და ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

10.4 დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები, სამუშაო პირობები, განისაზღვრება ცენტრის დებულებით, ცენტრის უფროსის სამსახურებრივი დავალებებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და მასთან დადებული ხელშეკრულებით;

#### **თავი IV. დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 11.**ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდებაკ ანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიურის აბჭოს დადგენილებით.